OFFICE OF THE PERSONAL DATA
PROTECTION INSPECTOR

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

N 196/01
05/05/2015

196-01-2-201505051133

ცენტრალური საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარეს, ქ-ნ თამარ ჟვანიას

ასლი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2015 წლის 14 აპრილის №01-07/594 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ აღწერილ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და საარჩევნო უბნების ადაპტირების მიზნით საჭიროებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავებას (ამ შემთხვევაში - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან ინფორმაციის მიღებას), კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი წარმოადგენს თუ არა ეტლით მოსარგებლეს, სმენადაქვეითებულს/ყრუს ან უსინათლოს, მათი პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის მითითებით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის დღეს არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს საარჩევნო კომისიის მიერ ამგვარი ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე. საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და ცალკეული პრაქტიკული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, აპარატის მიერ მომზადდა კანონის ცვლილებების პროექტი, სადაც ასახული იქნება ცესკოს მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საკითხი, რათა შეუფერხებლად მოახდნოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათთვის აუცილებელი გარემოს შექმნა.

პატივისცემით,

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

ცესკო
№ 575 1
06 / 05 2015

აფაქიძის ქ. №15, 0171, თბილისი, საქართველო,
ტელ: (+995 32) 2421000
ელ–ფოსტა: office@pdp.ge

15, Apakidze Str. 0171 Tbilisi, 0105, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdp.ge